

„ნევროლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „ნევროლოგია“

2. სპეციალობის შინაარსი:

ნევროლოგია - არის სამედიცინო სპეციალობა, რომელიც მოიცავს ნერვული სისტემის პათოლოგიის დიაგნოსტიკის, არაქირურგიული მკურნალობის და ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტის საკითხებს, საგანმანათლებლო საქმიანობასა და სამეცნიერო კვლევას.

3. ზოგადი ცოდნა:

ექიმმა ნევროლოგმა უნდა იცოდეს:

ა) ნევროლოგიური დაავადებების ეფექტური და ეთიკური მართვა საბაზისო და კლინიკური ნეირომედიცინის სრულყოფილი ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობისა და ასევე კომუნიკაციური, ორგანიზატორული შესაძლებლობების დემონსტრირების საფუძველზე, კერძოდ:

ა.ა) ნევროლოგიურ დარღვევათა მეცნიერულად დასაბუთებული, სრულფასოვანი და ეფექტური დიაგნოსტიკა და მართვა;

ა.ბ) სრულყოფილი ნევროლოგიური ანამნეზის შეკრება და საჭიროების შემთხვევაში კოლატერალური ანამნეზური მონაცემების მოპოვება. ანამნეზის ფორმულირება ვერბალურად და წერილობით;

ა.გ) ნევროლოგიური და მენტალური სტატუსის გამოკვლევა;

ა.დ) სინდრომული და ლოკალიზაციური დიაგნოსტიკის წარმოება;

ა.ე) წინასწარი და დიფერენციალური დიაგნოზის ფორმულირება;

ა.ვ) შესაბამისი დამატებითი გამოკვლევების დაგეგმვა და შედეგების სწორი ინტერპრეტაცია;

ა.ზ) ნერვულ დაავადებათა ოპტიმალური მკურნალობის გეგმის შემუშავება კლინიკური ფარმაკოლოგიის პრინციპების გათვალისწინებით;

ა.თ) პაციენტის მეურვეობის პროცესში მულტიდისციპლინური პროფესიული გუნდის ჩართვა, ინტერდისციპლინური აქტივობების ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება;

ა.ი) კომუნიკაციური შესაძლებლობების გამოვლენა. ურთიერთობა პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან (ან სხვა მეურვეებთან), სამედიცინო პერსონალთან ეფექტურად და ეთიკის ნორმების დაცვით;

ა.კ) გადაუდებელი ნევროლოგიური მდგომარეობების მართვა.

ბ) ნერვული სისტემის დაზიანებით მიმდინარე პათოლოგიური მდგომარეობებისა და ნერვული სისტემის დაავადებების მართვა, მათ შორის,:

ბ.ა) მოტორული ფუნქციის დარღვევები;

ბ.ბ) მგრძნობელობის დარღვევები;

ბ.გ) მხედველობის დარღვევები;

ბ.დ) თავბრუს; სმენის დარღვევები (სენსო-ნევრიტული);

- ბ.ე) თავის ტკივილი;
- ბ.ვ) ცერებრო-ვასკულური დაავადებები;
- ბ.ზ) თავის და ზურგის ტვინის ტრავმა;
- ბ.თ) ნეიროინფექციები;
- ბ.ი) თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეები;
- ბ.კ) მადემიელინიზირებელი დაავადებები;
- ბ.ლ) პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები;
- ბ.მ) ნერვ-კუნთოვანი დაავადებები;
- ბ.ნ) მემკვიდრეობითი დაავადებები;
- ბ.ო) ტკივილის მართვის ზოგადი პრინციპები;
- ბ.პ) დემენციები;
- ბ.ჟ) ნეირო-ფსიქიატრიული მდგომარეობები;
- ბ.რ) კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის კარდიო-პულმონური უკმარისობის მონიტორინგი/კორექცია;
- ბ.ს) მწვავე ინსულტის მართვა;
- ბ.ტ) კომატოზურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა კლინიკური შეფასება და სადიაგნოზო ალგორითმის განსაზღვრა;
- ბ.უ) ეპილეფსიური სტატუსის მართვა;
- ბ.ფ) თავის და ხერხემლის მძიმე მწვავე ტრავმის მართვა;
- ბ.ქ) კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ და მძიმე დაზიანებების მქონე პაციენტთა სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;
- ბ.ღ) მიასთენური კრიზის და მწვავე პოლინეიროპათიის მართვა;
- ბ.ყ) მძიმე ხარისხის ფიზიკური უნარშეზღუდულობით პაციენტის მართვა;
- ბ.შ) დემენციის მქონე პაციენტის მართვა;
- ბ.ჩ) პაციენტის მართვა ტვინის სიკვდილით;
- ბ.ც) მყარ ვეგეტატურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მართვა.

4. დაავადებები და მდგომარეობები: (11.04.2016 N01-15/6)

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
G00-G09, A80-A89, B90.0, B91, B94.1 A17, A52.1, A52.2, A52.3B01, B02.0, B02.1, B02.0	ცნს ანთებითი ავადმყოფობები	მართვა (კომპეტენციის ფარგლებში)
G10- G13	ცნს დამაზიანებელი სისტემური ატროფიები	მართვა
G20- G26	ექსტრაპირამიდული და მოძრაობის სხვა დარღვევები	მართვა
G30- G32	ნერვული სისტემის სხვა დეგენერაციული ავადმყოფობები	მართვა
F00*	დემენცია ალცჰაიმერის დაავადების დროს (G30.-+)	მართვა
F01	სისხლძარღვოვანი (ვასკულარული) დემენცია	მართვა
F02*	დემენცია სხვა თავში მოყვანილი დაავადებების	მართვა

	დროს	
F03	დაუზუსტებელი დემენცია	მართვა
F04	ორგანული ამნეზიური სინდრომი, რომელიც არ არის გამოწვეული ალკოჰოლით ან სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღებით	მართვა
F05	დელირიუმი, რომელიც არ არის განპირობებული ალკოჰოლით ან სხვა ნივთიერებებით	მართვა
F06.3	ორგანული ბუნების (აფექტური) აშლილობანი	მართვა
F06.4	ორგანული დარღვევა შფოთვით	მართვა
F06.5	დისოციაციური ორგანული აშლილობები	მართვა
F06.6	ემოციურად ლაბილური (ასთენიური) ორგანული დარღვევა	მართვა
F06.7	მსუბუქი (რბილი) კოგნიტიური აშლილობები	მართვა
F07.1	პოსტენცეფალიტური სინდრომი	მართვა
F07.2	პოსტკომოციური (ტვინის შერყევის შემდგომი) სინდრომი	მართვა
G35- G37	ცნს დემიელინინზაციით მიმდინარე დაავადებები	მართვა
G40-G41	ეპილეფსია და ეპილეფსიური გულყრები	მართვა
G43- G44; R51	შაკიკი და თავის ტკივილის სხვა სინდრომები	მართვა
G45-G46, I60-I69.8	ცერებრო-ვასკულური დაავადებები	მართვა
G47	ძილის დარღვევები	მართვა
F51	არაორგანული ბუნების ძილის დარღვევები	მართვა
G50-G59; B02.2; D86.8; M47; M48.0; M48.3; M50- M51; M53; M54	ნერვების, ნერვული ფესვებისა და წნულების დაზიანებები	მართვა (კომპეტენციის ფარგლებში)
G60-G64	პოლინეიროპათიები და პერიფერიული ნერვული სისტემის სხვა დაზიანებები	მართვა
G70-G73	ნერვ-კუნთოვანი სინაფსისა და კუნთების ავადმყოფობები	მართვა
G80-G83	ცერებრული დამბლა და სხვა პარალიზური სინდრომები	მართვა
G90	ვეგეტატიური (ავტონომიური) ნერვული სისტემის დაზიანებები	მართვა
G91; G94	ჰიდროცეფალია	მართვა
G92	ტოქსიკური ენცეფალოპათია	მართვა
G93	თავის ტვინის დაზიანებები (მათ შორის, ცერებრული კისტები, თავის ტვინის ანოქსიური დაზიანება, კეთილთვისებიანი ქალასშიდა ჰიპერტენზია, თავის ტვინის კომპრესია, ცერებრული შეშუპება, რეის სინდრომი, პოსტტრავმული დაღლილობის სინდრომი, ენცეფალოპათია)	მართვა
G95	ზურგის ტვინის დაზიანებები	მართვა
G96	ცნს სხვა დაზიანებები (მათ შორის, თზტს გაჟონვა,	მართვა

	ტვინის გარსების დაზიანებები, დაუზუსტებელი დაზიანებები)	
G97	ნერვული სისტემის სამედიცინო პროცედურების შემდგომი დაზიანებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
G98	ნერვული სისტემის სხვა დაზიანებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	
G99	ნერვული სისტემის სხვა დაზიანებები იმ ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	
S00.0; S00.7; S01.0; S01.7; S01.8; S02.0; S02.1; S02.7; S02.8; S02.9; S04; S06; S14; S24; S34; S44; S64; S74; S84; S94	ქალა-ტვინის ტრავმა, ზურგის ტვინის კისრის, გულმკერდის, წელის ნაწილის და პერიფერიული ნერვების ტრავმები	მართვა (კომპეტენციის ფარგლებში)
Q00-07	ცნს განვითარების ანომალიები	მართვა
H46-48; H53.4; H02.2; H02.4	ვიზუალური სისტემის დაზიანებები; ვიზუალური სისტემის დანამატი სტრუქტურების დაზიანებანი	მართვა
H49; H51; H53.2; H55	თვალის მამოძრავებელი კუნთების დაზიანებანი	მართვა
H81-H82; H90.3; H90.4; H90.5; H93.1; H93.3	სმენისა და ვესტიბულური სისტემების დარღვევები	მართვა
R40	ცნობიერების დარღვევები (მათ შორის, მილიანობა, სტუპორი და კომა)	მართვა
E71; E75; E76; E77; E79	ნერვული სისტემის მემკვიდრული მეტაბოლური ავადმყოფობები	მართვა
F41.9	დაუზუსტებელი შფოთვითი აშლილობა	მართვა
F44.4	დისოციაციური მოტორული აშლილობანი	მართვა
F44.5	დისოციაციური კონვულსიები	მართვა
F44.6	დისოციაციური ანესთეზია და გრძნობადი აღქმის (აღქმითი შეგრძნებების) დაკარგვა	მართვა
F45.0	სომატიზირებული აშლილობანი	მართვა
F45.1	არადიფერენცირებული სომატოფორმული აშლილობა	მართვა
F45.3	სომატოფორმული ავტონომიური (ვეგეტატიური) დისფუნქცია	მართვა
F45.4	ქრონიკული სომატოფორმული ტკივილი	მართვა
F45.8	სხვა სომატოფორმული აშლილობანი	მართვა
F45.9	დაუზუსტებელი სომატოფორმული აშლილობა	მართვა
F48.0	ნევრასთენია	მართვა
F80.3	შეძენილი აფაზია ეპილეფსიასთან ერთად [Landau-Kleffner]	მართვა
F95	ტიკები	მართვა

T90.3, T90.5; T91.3, T92.4; T93.4;	ტრავმების, მოწამვლების და გარეგანი მიზეზით ზემოქმედების შედეგები	მართვა
C47, C70, C71, C72, D32, D33, D42, D43, D48.2	ნეირონკოლოგია	მართვა (კომპეტენციის ფარგლებში)
I10	ესენციური (პირველადი) ჰიპერტენზია	მართვა (კომპეტენციის ფარგლებში)
R06.3, R06.6, R06.8	სუნთქვის დარღვევები	მართვა, (კომპეტენციის ფარგლებში)
R50- R57, R61 - R69	ზოგადი სიმპტომები და ნიშნები	მართვა
R25- R29	სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება ნერვულ და ძვალ-კუნთოვან სისტემებს	მართვა
R40- R46	სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება შემეცნებას, აღქმას, ემოციურ მდგომარეობასა და ქცევას	მართვა
R47- R49	სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება მეტყველებასა და ხმას	მართვა
R83	თავზურგტვინის სითხეში გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები	მართვა
R90	ცენტრალური ნერვული სისტემის დიაგნოსტიკური გამოკვლევებით გამოვლენილი დარღვევები	მართვა
R94.0; R94.1	ფუნქციური გამოკვლევებით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები	მართვა
Y11; Y13; Y46; Y47; Y49-51; Y55.1	ავადობის და სიკვდილობის გარეგანი მიზეზები	მართვა
Z00.6; Z02.4; Z03.3; Z09.3; Z50.4; Z50.5; Z56.4; Z56.5; Z72	იმ პირების ზოგადი გასინჯვა და გამოკვლევა, რომლებსაც არა აქვთ ჩივილები ან დადგენილი დიაგნოზი	მართვა

5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმ-ნევროლოგს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების შედეგების ინტერპრეტაცია:

- ა.ა) თავის ტვინის, ხერხემლის, შუასაყარის CT;
- ა.ბ) თავის ტვინის CTA;
- ა.გ) თავისა და ზურგის ტვინის MRI;
- ა.დ) თავისა და ზურგის ტვინის MRA;
- ა.ე) თავის ქალას, ხერხემლის, გულმკერდის რენტგენოგრაფია;
- ა.ვ) თზტს ანალიზი (ციტოზი, ცილა, გლუკოზა, კულტურა, ღია წნევა, PCR, ოლიგოკლონალური IgG ჯგუფები, ლაქტატი, სეროლოგია ვირუსებზე);
- ა.ზ) ეეგ, რუტინული და პროლონგირებული ვიდეომონიტორინგით;

- ა.თ) ვიდეო პოლისომნოგრაფიული მონიტორინგი;
- ა.ი) ელექტრონეირომიოგრაფია;
- ა.კ) ულტრასონოგრაფია ექსტრა/ტრანსკრანიალური, მუცლის ღრუს;
- ა.ლ) ცერებრული ანგიოგრაფია;
- ა.მ) გამოწვეული პოტენციალები (მხედველობითი, ღეროს სმენითი, კოგნიტური, სომატო-სენსორული);
- ა.ნ) ჰემატოლოგია (სისხლის საერთო ანალიზის ყველა კომპონენტი ედს-ის ჩათვლით, კულტურა);
- ა.ო) შარდის საერთო ანალიზი;
- ა.პ) სისხლის ბიოქიმიური ანალიზი (ALT, AST, GGT, ბილირუბინი, კრეატინინი, ალბუმინი, შარდოვანა, ელექტროლიტები, ლიპიდური სპექტრი, გლუკოზა, ლაქტატი, პირუვატი, კვკ);
- ა.ჟ) სეროლოგია შრატის და თზტს (RPR, HIV, HTLV1, HBV ზედაპირული ანტიგენი, HAV, HCV ანტისხეულები, ანტისხეულები ბორელიოზზე, ლეპტოსპიროზზე, ტოქსოპლაზმოზზე);
- ა.რ) ელექტროკარდიოგრაფია, ექოკარდიოსკოპია;
- ა.ს) Anti-AChRAb, MUSK, TITIN ანტისხეულები;
- ა.ტ) PCA;
- ა.უ) რევმატოიდული ფაქტორი, CRP, ანტინუკლეარული და ანტინეიტროფილური ციტოპლაზმური ანტისხეულები, ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულები, კრიოგლობულინი, ლიპოპროტეინი;
- ა.ფ) ოფთალმოსკოპია, პერიმეტრია, მხედველობის სიმახვილე, ოპტიკო-კოჰერენტული ტომოგრაფია;
- ა.ქ) აუდიომეტრია;
- ა.ღ) ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური შეფასება (T4, T3, TSH, ანტი-თიროიდული ანტისხეულები (anti-TPO, TRAbs, thyroglobulin));
- ა.ყ) სისხლის გაზები, ჟანგბადის სატურაცია სისხლში, პლაზმის, შარდის ოსმოლარობა;
- ა.შ) ვეგეტატიური ფუნქციური სინჯები;
- ა.ჩ) სკალები MMSE, HADS, NIH Stroke Scale, EDSS;
- ა.ც) მამოგრაფია;
- ა.ძ) სპირომეტრია;
- ა.ჭ) აპომორფინის ტესტი;
- ა.ხ) პროზერინის ტესტი;
- ა.ჯ) შრატში პროლაქტინი, კორტიზოლი, აკტჰ, ვიტამინები B12, B1, სპილენძი, ცერულოპლაზმინი;
- ა.ჰ) ტოქსიკოლოგიური სკრინინგის ტესტი;
- ა.ჰ.1) ტუბერკულოზის ტესტი;
- ა.ჰ.2) ტესტი ფარულ სისხლდენაზე;
- ა.ჰ.3) მიტოქონდრიული დრმ მუტაციები;
- ა.ჰ.4) ნერვის, კუნთის, საფეთქლის არტერიის, სიმსივნის ბიოფსია.

ბ) ექიმ-ნევროლოგს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

ბ.ა) ლუმბალური პუნქცია;

ბ.ბ) ოფთალმოსკოპია, მხედველობის ველისა და მხედველობის სიმახვილის განსაზღვრა;

ბ.გ) პროზერინის ტესტი;

ბ.დ) პაციენტის შეფასება სკალებით:

ბ.დ.ა) Glasgow Coma Scale;

ბ.დ.ბ) NIH Stroke Scale;

ბ.დ.გ) Karnofsky Rating Scale;

ბ.დ.დ) MMSE (მენტალური სტატუსის მოკლე სკალა);

ბ.დ.ე) HADS (კლინიკის პირობებში შფოთვის და დეპრესიის შეფასების სკალა);

ბ.დ.ვ) ჰამილტონის დეპრესიის სკალა, ბეკის დეპრესიისა და შფოთვის სკალა;

ბ.ე) ვეგეტატიური ფუნქციური სინჯები:

ბ.ე.ა) Dix-Hallpike-ს მანევრი;

ბ.ე.ბ) ტვინის სიკვდილის დიაგნოსტიკა.

6. სპეციალიზაცია:

ა) კლინიკური ნეიროფიზიოლოგია - კლინიკური ელექტროენცეფალოგრაფია (სტანდარტული ეეგ, ვიდეო ეეგ მონიტორინგი, გამოწვეული პოტენციალები, პოლისომნოგრაფია);

ბ) კლინიკური ნეიროფიზიოლოგია - ელექტრონეირომიოგრაფია (მოტორული და სენსორული ნერვის გამტარებლობის კვლევა, ელექტრომიოგრაფია).